№ 41 პარასკევი, 16 ოქტომბერი 1909 წ.

# მომავალი

№ 41 პარასკევი, 16 ოქტომბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 2 მ. 20 კ. თფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. თვიურათ: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (მარკებში).

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება ... სადამოს 5 ს.—მდე 3 მ. ... ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელთნაწერებს ... დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

წარმოდგენა 8. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 8.

**კვირას, 18 ოქტომბერს 1909 წელს**

ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** და **ს. სვიმონიძის** მონაწილეობით

## ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. თარ. **ა. ცაგარლისა.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი პ. შოთაძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე, პარტერი 2 მ. 50 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: «სიძე სიმამრი», „დედის ერთა“, „კოჩრიანი ტოროლა“, „იმედის დაღუპვა“

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დროებით საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**ქართული თეატრი**

**შაბათს, 24 ოქტომბერს**, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად **გრიგოლ რობაქიძისა** შემდეგ თემაზე:

## სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ ბ. ივ. გომართელი წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. ნ. ერისთავი, წარმოსთქვამს პოეტის რამდენიმე ლექსს.

დაწვრილებით პროგრამაში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათ.

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს მე-2-ჯერ ვ. ჩილეას ოპერა 4 მოქმ.

## „ადრიენნა ლეკუვრერ“

მუსიკალური დადგმა ნ. ა. მიკლაშევსკის, სასცენო—ანტ. ეიხენვალდისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ვიკშემსკაია, ვოლსკისა, კალ. ნინა, ფერრარი; ბ-ნნი: ბორისენკო, დემიანენკო, ობრუბოვი, პევცოვი, ხმელევი.

**ფასები ჩვეულებრივია.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ხვალ პირველათ განახლების შემდეგ ე. გუმპერდინის **„გენზელ და გრეტელ“**. კვირას, 18 ოქტომბერს დილის წარმოდგენა მეტათ დაკლებულ ფასებში 1) **„სევილიელი დალაქი“**; 2) **„კოპპელია“** (მეორე მოქმედებაში ბალეტი იქნება). (0—9)

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიევი ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ა. ზ.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ., ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**პირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—11.

**სოგოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. ზ.** მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ—13)

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. ზ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—13)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა.

## კოოპერაცია

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

„სახალხო სახლი ძმათა ზუბალაშვილებისა“

**კვირას, 18 ოქტომბერს** დილის სრულ 11 საათზე **ა. ი. მალხაზიანი** წაიკითხავს ლექციას:

## გ. დ. ანუცციო და პ. ტეტმაიარის შესახებ.

ბილეთები გაიყიდება სახალხო სახლის კასაში. 50 კ.-დან 5 კაპეიკამდე. (3—1)

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

## იაფათ

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის“ რედაქციაში ს. კ—ან. 0—თ—8

## თფილისი, 16 ოქტომბერი.

აგერ სამი სხდომა ჰქონდა სახელმწიფო დუმას საზაფხულო კანიკულების შემდეგ, მაგრამ არც ერთი სხდომა არ იქცევს ყურადღებას თავის შინაარსიანობით და თაოსნობით; ისევ ძველებურათ მთავრობის მბრძანებლობითი კილო, ისევ მოკრძალებითი ხმა დუმის უმრავლესობის, ისევ უკუგდება 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებულ თავისუფლებათა ძირითადი კანონებისა, ისევ ძველებური წვრილმანი კანონ-პროექტების, ან, როგორც ოხუნჯობენ, „ვერმიშელის“ განხილვა, ასე რომ, ახალი სხივი დუმის ცხოვრებაში არ გამოშუქს. ან ვისგან უნდა იქნეს ახალი რამ? მთავრობა სტოლიპინის პირით გველაპარაკება, რომ ის მარჯვნით მიიქაჩება, თუმცა შავრაზმელების სურვილები სავსებით ჯერ კიდევ ვერ დაუკმაყოფილებია: „Онъ съ нами, но мы еще не съ нимъ“,—ამბობენ მემარჯვენეები. შავრაზმელებისთვის, რასაკვირველია, ცოტაა სტოლიპინისაგან იმის აღიარება, რომ რუსეთში კონსტიტუცია არ არსებობს, მეფის უფლება შეზღუდული არაა; საკმაო არაა ფინლიანდიელების ძირითად უფლებების ფეხქვეშ გათელვა, ვიბორგის გუბერნიის ფინლიადიიდან გამოყოფა, 2,000000 ფრანკის გადახდევინება სამხედრო ბეგარის სახით; საკმაო არაა პოლონეთისთვის დამახინჯებული საერობო კანონ-პროექტის შემუშავება, საცა ხელოვნურათ უნდა გაბატონდეს „წმინდა წყლის“ რუსები, იქაც კი, საცა მათი სახსენებელიც არაა. თურმე კიდევ ბევრი რამ ახალი ძალმომრეობა უნდა ჩაიდინოს ბიუროკრატიამ, რომ შავრაზმელების გული მოიგოს და მაშინ იტყვიან ისინი: „Онъ съ нами и мы съ нимъ“.

ყოველივე ამის შემხედვარე ოქტომბრისტების ფრაქცია გაჩუმებულია, მოკრძალებით ისმენს მთავრობის სურვილებს და თავის სიჩუმით ადასტურებს მათ. ოქტომბრისტების „სიეზდი“ ერთი შეხედვით თავის ფრაქციის მოქმედებას დუმაში აკრიტიკებს, მეიენდორფის მიერ განსაკუთრებული წესების დაცვას იწუნებს, კონსტიტუციის დამცველათ და დარაჯათ გამოდის, უნივერსიტეტის ავტონომიას ხომ იცავს და იცავს, მაგრამ მიზნის მისაღწევათ ის უარყოფს მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებას, ის ურჩევს მთავრობასთან მორიგებით და შეთანხმებით მოქმედებას და როცა დუმის წევრებმა „სიეზდს“ კითხვა დაუყენეს: რა ვქნათ, თუ მთავრობასთან მორიგება არ მოხერხდა, დავანებოთ თავი დეპუტატობას თუ არაო,—იმათ უპასუხეს: მეფეს მიმართეთო. ასეთი პასუხი უკვე ანთავისუფლებს დუმის ოქტომბრისტთა წევრებს ყოველივე პასუხისმგებლობისაგან, რადგანაც ასეთი რჩევა იმას ნიშნავს, რომ შენი გასაკეთებელი საქმე სხვამ გააკეთოს და რადგანაც ეს ასე არასოდეს არ ხდება, ოქტომბრისტების ფრაქციის მდგომარეობა კრიტიკულია, იმათ დარჩენიათ მხოლოდ ერთი: როგორც მთავრობა მიჩოჩავს შავრაზმელებისკენ, ისე იმათაც უნდა გაიწიონ იქით; ამნაირათ, მათსა და მთავრობას შორის კონფლიქტი აღარ მოხდება, მეფესაც აღარ შეაწუხებენ მიმართვით და ამ სამ წელსაც კიდევ იქნებიან დუმის შავრაზმელების მაჩანჩალებათ და ასე 17 ოქტომბრის პარტია, 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმებით დააგვირგვინებს თავის „სასახელო“ მოღვაწეობას, თუ რომ, რასაკვირველია, მათგან დამოუკიდებელი გარემოება ხელს არ შეუშლის, რასაც მომავალი დაგვანახვებს.

## სახელმწიფო დუმა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**მესამე სხდომა.**

14 ოქტომბერი.

სახელმწიფო დუმის მესამე სხდომა გაიხსნა 14 ოქტომბერს დილის 11 საათსა და 10 წუთზე. თავმჯდომარეობს თავადი ვოლკონსკი. სანამ მიწების მოწესრიგების კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას შეუდგებოდენ მიღებულ იქნა ანდრეიჩუკის მიერ წამოყენებული მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა. შემდეგ დუმა შეუდგა კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას. პირველ მუხლში შესწორება შეიტანეს პეტროვსკიმ, კროპოტოვმა, გრაფმა უვაროვმა, ანდრეიჩუკმა და გლებოვმა მეორემ. კენჭის ყრით ყველა შესწორებები უარყვეს, გარდა ოქტომბრისტების სახელით გლებოვის მიერ წამოყენებულ შესწორებისა. უარყვეს აგრეთვე კუტლერის წინადადება და გრაფ უვაროვის შესწორება. პირველი და მეორე მუხლი მიიღეს მიწების კომისიის რედაქციით.

**გრაფი კაპნისტი** კითხულობს მესამე მუხლს. 12 საათსა და 55 წუთზე სხდომა შესწყდა. სხდომის განახლებისას **კუტლერს** კადეტების სახელით შესწორება შეაქვს. კუზოვკოვი მხარს უჭერს ამ მუხლს. შინგარიევი მხარს უჭერს კუტლერის შესწორებას. ორატორების ჩაწერა შესწყდა. ჩაეწერა 24 კაცი. **ტიმოშკინი** მხარს უჭერს კადეტების აზრს ნადელების შესახებ. **მარკოვი 2**, მიწების კომისიის კანონ-პროექტში ხედავს, რომ გლეხებს სულ წაერთმევა მიწები და ისინი „ქიდების“ მსხვერპლნი გახდებიან. **ბალაკლაევი** მემარჯვენეების სახელით ემხრობა კუტლერის აზრს. გრ. **ბობრინსკი 2**, ბელოუსოვი და ციტვიჩი მხარს უჭერენ კროპოტოვის წინადადებას. გრ. **უვაროვი**, კუზმო და ჩერნიცკი სავსებით მხარს უჭერენ მიწების კომისიის დასკვნას. **პეტროვი 3**-მე ამბობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ მარტო გლეხებს და ისიც ძალით შეუძლიან მოიპოვონ თავიანთი უფლება და გამოგლიჯონ ის ხელიდან დუმას და მთავრობას.

4 საათსა და ოცდა რვა წუთზე სხდომა შესწყდა. სხდომის განახლებისას ლაპარაკობს **კუზაკოვი**—ის დაჟინებით მოითხოვს მიიღონ ეს მუხლი მიწების კომისიის რედაქციით. **გრაფი კაპნისტი** მხარს უჭერს მიწების კომისიის გადაწყვეტილებას. **რუდზიანკო** — როგორც მიწების კომისიის თავმჯდომარე, მოითხოვს მიიღონ ეს მუხლი კომისიის რედაქციით. კამათი შესწყდა. აცხადებენ და კენჭს უყრიან შეტანილ შესწორებებს. უარს ყოფენ სოკოლოვ მეორეს წინადადებას კითხვის გადადების შესახებ. უარს ყოფენ აგრეთვე კუტლერის შესწორებას. მესამე მუხლი ბალაკლაევის შესწორებით მიღებულ იქნა 23 ხმით. 5 საათსა და 50 წუთზე სხდომა შესწყდა.

სხდომა განახლდა 8 საათსა და 43 წუთზე. თავმჯდომარეობს ხომიაკოვი.

**გრაფი კაპნისტი** კითხულობს მეოთხე მუხლს. უარყოფილ იქნა ყველა წინადადები გარდა **კუტლერისა.** შემდეგ ღებულობენ მეხუთე მუხლს **კუტლერისავე** შესწორებით. **გრაფი ბობრინსკი** კითხულობს მეექვსე მუხლს, რომელსაც ღებულობენ მიწების კომისიის რედაქციით და როდზიანკოს შესწორებით.

**თავმჯდომარე** აცხადებს, რომ შრომის ჯგუფმა შემოიტანა შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი—იცის თუ არა მან, რომ ზოგიერთ უცხოეთის გამოცემებს, რომლებიც დუმის ბიბლიოთეკაში იგზავნება, კანონის წინააღმდეგ, ცენზურა იჭერს; თუ იცის—რა ზომების მიღებას აპირებს, რომ მომავალში ასეთ მოვლენებს ადგილი აღარ ქონდეს. თხოულობენ შეკითხვა საჩქაროთ იქნას ცნობილი. **კრუპენსკი** წინააღმდეგია შეკითხვა საჩქაროთ იცნან და წინადადებას იძლევა გადასცენ კომისიაში. **ბულატს** ვერ გაუგია რატომ უნდა გადასდონ შეკითხვის განხილვა, როცა ის ცხადია და საბუთებიც ხელთ არის. ის მხარს უჭერს შეკითხვა საჩქაროთ იქნას ცნობილი. წინადადება უარყვეს და შეკითხვა კომისიას გადაეცა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 16 ოქტომბრეს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ოქტომბერი.

**სპარსეთი.**

**თავრიზი.** რადგან შეიარაღებულ ბრძოლით შეუძლებელი შეიქნა შახსევანების და ყარადაღელების დამორჩილება, ადერბეიჯანის გენერალ-გუბ. მშვიდობიან მოსალაპარაკებლათ არდებილში გაგზავნა ყოფილი გუბერნატორი რაშიდ-ულმულკი და თან ასეული კაზაკი გააყოლა. მას უკან გაყვა რამდენიმე ასეული სარბაზი და ბაგირ-ხანი თავისი ფიდაებით. ერთი დღის შემდეგ სარბაზები უკან დაბრუნდენ და მოითხოვეს ჩქარა მასროლი თოფები. ბაგირ-ხანი თავრიზის ახლოს გაჩერდა.

**საზღვარ-გარეთ**

**ერფურტი.** გზაში ხელმწიფე იმპერატორმა გაიგო თავად იტოს სიკვდილი და იაპონიის იმპერატორს თავისი მწუხარება განუცხადა დეპეშით.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ იტყობინება, რომ იტოს სიკვდილმა იაპონელებს ღრმა მწუხარება მიაყენა, თუმცა მოკვლის ამბავს დამშვიდებით შეხვდენ. ამ მკვლელობას პოლიტიკური შედეგები არ მოყვება და მთავრობის შერიგებითი პოლიტიკა არ შეიცვლება.

ლორდთა პალატამ მიიღო მელიორაციის შესახებ კანონპროექტი ცოტა ცვლილებებით. ფიქრობენ, რომ ეს ორ პალატას შუა დიდ უთანხმოებას არ გამოიწვევს. პალატის სხდომა შესწყდა 26 ოქტომბრამდე. საზოგადოებათა პალატა ბიუჯეტს იხილავს.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში სოციალისტმა ჟორესმა წინადადება მისცა მთავრობას იმუშაოს სადამოჟნო გადასახადების შესამსუბუქებლათ. პიშონმა უპასუხა, რომ სანამ საფრანგეთს არ განუხილავს საკუთარი ტარიფები, სხვა სახელმწიფოებს ვერ მოელაპარაკებიან; გააგის კონფერენციაზე, რომელიც ახლო მომავალში მოხდება, საფრანგეთის დელეგატები აღძრავენ საკითხს სადამოჟნო ტარიფების შესახებ, იმ სახით, როგორათაც ეს ჟორესმა წამოაყენა. ხოლო დიპლომატიურ მოლაპარაკებას კონფერენციამდე გამართავენ.

**კოპენჰაგენი.** მეფემ დღეს მიიღო ცელე, რომელმაც წარუდგინა სია: მინისტრ-პრეზიდენტი (?) იუსტიციის მოსამართლე კრაბბე; სახელმწიფოს დაცვის—სკავენიუსი; საგარეო საქმეთა—მუნხი; შინაგან—ხრისტენსენი; მიწათმოქმედების—პასტორი ვემმელე; კულტის—ვეიმანი; ვაჭრობის—ედუარდი; ფინანსის—ბრანდესი; გზათა მინისტრის ადგილი თავისუფალია. ახალ მინისტრებს მეფე ხვალ მიიღებს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში ასკვიტმა განაცხადა, რომ საფინანსო ბილლის მესამეთ კითხვა 22 ოქტომბერს დასრულდება. 23 ოქტომბერს წინადა-

დებას წამოაყენებენ უარყონ ლორდთა პალატის შესწორებები ირლანდიის მიწების ბილში შეტანილი. შემდეგ საზოგადოებათა პალატის სხდომები შესწყდება ათ ნოემბრამდე.

## რუსეთი

**მინსკი.** მინსკში დაიჭირეს ორი ყალბი ფულების მჭრელი. მათ აღმოაჩინდათ ფულის საჭრელი მანქანა.

**პეტერბურგი.** ჩამოინგრა მეშვიდე როტაში ახლად აშენებული კოცკის სახლის ჭერი. მძიმეთ დაშავდა ერთი მუშა, მეორე მსუბუქათ.

**მოსკოვი.** სენატორის რევიზიამ წინადადება მისცა სამხედრო გამომძიებელს მოახდინოს ძიება 26 კაცის შესახებ 372 და 377 სტ. ძალით.

**ეკატერინოდარი.** არმავირში დაიწვა ზოკჯების სააქციონერო საზოგადოების ქარხანა. ზარალი 200,000 მანეთს აღემატება.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება შემცირებულ იქნას ევროპისა და აზიის რუსეთ შორის გასაგზავნ დეპეშების ფასი 1910 წლის 1 იანვრიდან —8 კაპეიკი სიტყვაზე; 1911 წლის 1 იანვრიდან 6 კაპეიკი და 1912 წლის 1 თებერვლიდან 5 კაპეიკი და 1910 წლის პირველ იანვრიდან დაწესდეს ევროპის რუსეთიდან იაკუტის ოლქში გასაგზავნ დეპეშებზე, სიტყვაზე შაური.

**პეტერბურგი.** ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა საბჭომ განიხილა 1890 წ. საერობო დებულების დასავლეთ ცხრა გუბერნიაზე გავრცელების შესახებ კანონ-პროექტის ცალკე მუხლები. უმრავლესობა უცვლელათ მიიღო. შემდეგ სურვილი გამოსთქვა ჩქარა მიღებულ იქნას ზომები შეფასების შესახებ და შესაძლებლად სცნეს გავრცელებულ იქნეს ერობისთვის დებულება კოვნოს და ვილნოს გუბერნიებზე და ვიტებსკის გუბერნიის სამ მაზრაზე იმ პირობით, რომ სამაზრო და საგუბერნიო საერობო კრებების ხმოსანთა ნახევარი უნდა რუსები იყვნენ.

## ფერერას სიკვდილით დასჯა.

ისპანიის სამხედრო სასამართლომ მასწავლებელ ფერერას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა და ისპანიის უმაღლესმა მთავრობამ ეს განაჩენი აჩქარებით სისრულეში მოიყვანა. ისპანიის მეფე ალფონს VIII-მ არ შეიწყნარა არავის თხოვნა და ფერერას სიცოცხლე არ აჩუქა. ფერერა დახვრიტეს.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მთელ დედამიწას მოედო და შეგნებული კაცობრიობა, როგორც ერთი ადამიანი, ამის შესახებ ერთსულოვან და ერთდროულ პროტესტს აცხადებს. ევროპის დემოკრატია ქუჩაზე გამოვიდა და დემონსტრაციას დემონსტრაციაზე ახდენს, ისპანიის მთავრობას წყევლა-კრულვას უთვლის. პარლამენტებში ამ „კანონიერ მკვლელობის“ შესახებ შეკითხვები შედის; ფერერას ძეგლის აგებასაც უპირებენ. ერთი სიტყვით, შეინძრა კაცობრიობა.

რამ აღელვა ეს ხალხი! რა მოხდა ისეთი უმაგალითო რამ, რომელმაც ამდენი ალიაქოთი ასტეხა!

განა ფერერა პირველი მაგალითია!

განა ეგრეთ წოდებული ლეგალური მკვლელობა, მკვლელობა კანონის ძალით და ლოცვა-კურთხევით ჯერ ამის მეტი არ მომხდარა!

განა დედა-მიწა გაჟღენთილი არ არის ფერერების სისხლით!

განა ფერერების ქვრივ-ობლების გოდება ცოტა ისმის, მათი ცრემლი ცოტა დაღვრილა და იღვრება!

განა თვალი არ შეეჩვია ტყვიით განგმირულ მკერდს!

განა სახრჩობელა კიდევ ვინმეს ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს!

გასა არ გაიაფდა ადამიანის სისხლი?

— მართლა, აქვე, გაკვრით უნდა აღინიშნოს ორ გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც ყველა განათლებული ერი ფერერას იგლოვს და სტირის; როდესაც სულყოველგან პროტესტის ყიჟინი მოისხის—რუსეთის ხალხი სდუმს. რისთვის დუმავს ეს ხალხი?

აივსო მოთმინების ფიალა.

— ისპანიის მთავრობის წინააღმდეგ პროტესტი—ლეგალური ძალმომრეობის პროტესტია.

ფერერა—საბაბია, რომლის საშვალებით დემოკრატია თავის ზიზღს უცხადებს საზოგადოთ რეაქციას, (მით უმეტეს სისხლიან რეაქციას).

დღევანდელი პროტესტები სასოწარკვეთილი ხალხის გაათვრების ყვირილია, ეს პროტესტები ხალხის „კმარა!“-ს შემოძახებაა.

ბევრს დააფიქრებს ეს საერთო ყვირილი; ბევრს გადაათვალიერებინებს თავის ნამოღვაწევს და ნამოქმედარს.

ამ საერთო ყვირილის ამოძახილი მზღვრიდან მთელ კაცობრიობას მოედება.

ამაშია დიდი მნიშვნელობა ამ პროტესტისა.

მეორე, არა ნაკლები მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი მოუმზადებლათ, წინაშე მიუცემლათ, უგეგმოთ ერთ მოვლენას სულ-ყოველგან ერთ და იმავე დროს ერთგვარათ აძლევს პასუხს. ამ მხრივ დღევანდელი პროტესტები მეტათ საგულისხმიეროა. **იკა.**

## ახალი ამბავი

**მკვლელობა.** 14 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ანდრეევისა და ბატარეინი ქუჩ. მახლობლათ პოლიციელებმა შეამჩნიეს 3 უცნობი, რომელნიც საეჭვო კაცებათ მიიჩნიეს და მოინდომეს მათი გაჩხრეკა, მაგრამ ერთმა უცნობთაგანმა იმწამსვე რევოლვერი დაახალა გოროდოვოი ბაშკეროვს და იქვე მოკლა. უცნობნი ამის შემდეგ გაიქცნენ—ერთი ანდრეევის ქუჩისკენ, ხოლო მეორე ყვირილის ქუჩიდან გამოვარდა ვოგზლის ქუჩ. და დასჭრა გოროდოვოი კაშიევი, რომელმაც მოინდომა მისი დაჭერა. ამის შემდეგ ერთი მათგანი მიიმალა, ხოლო მეორე რაჟდენ ჯაფარიძის შეშის საწყობიდან შევარდა გადასაგზავნ ნაწილის ეზოში და მოკლა სამაზრო სარკებულოს უფროსის სალდათი ანდრია სანტიურინი და ნიჟარაძის ტრაქტირიდან გაიქცა ვოგზლის მოედანზე და მიიმალა. პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა ახალ-სენაკის მაზრის მცხოვრებნი ფარმაცევტი კონსტანტინე ივანესძე გაბუნია და ვლადიმერ ქვანია და განჯის მაზრის მცხოვრები ვ. სიმონიანცი. (ფიქრობენ, რომ ისინი იღებდნენ სროლაში მონაწილეობას. სროლის დროს ქუჩაში დაიჭრა კონტრაშიკი ვლადიმერ კამენოვსკი და თფილისის სარევიზიო ნაწილის აგენტი ნ. გაპონკო. მოკლულთა გვამი გადაჰგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში.

**✦ ქალაქის თავის ვ. ჩერქეზიშვილის** ჯანმრთელობა თანდათან უმჯობესდება. ის ეხლა ისე კარგათ გრძნობს თავს, რომ აპირებს ამ დღეებში შეუდგეს თანამდებობის აღსრულებას.

**✦ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას** უგან. თავ. გრ. დადიანის სახელობაზე დარჩა 6,000 მან., რომლიდანაც 400 მან. წლიურათ უნდა მიეცეს იმას, ვინც უკეთეს თხზულებას დასწერს საქართველოს ისტორიაზე. თხზულების წარდგენის დრო დარჩა კიდევ ორი თვე.

**✦ მოკვლა.** ადგილობრივ სომხურ გაზეთებს ერზრუმიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქ. ხარფუთში (ოსმალეთი) ამ დღეებში ვილაცეებს მოუკლავთ სომხებში კარგათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე თოფჩიანი.

**✦ ვალენტეტის საოპერეტო დასი.** ამ მოკლე ხანში თფილისში ჩამოვა ცნობილი ვალენტეტის საოპერეტო დასი. დასში, სხვათა შორის, არის გამოჩენილი არტისტი ქალი პიატკოვსკაია და შუვალოვა. წარმოდგენები დაიწყება 15 ნოემბრიდან ქართულ თეატრში.

**✦ თფილისის გუბერნატორმა** თხოვნით მიმართა ქალაქის გამგეობას, რომ გამგეობამ ზომები მიიღოს, რათა კომერციულ სასწავლებლის მახლობლათ არ გახსნან მაგარი სასმელების სავაჭროები.

**✦ ავლაბრის თეატრი.** როგორც შევიტყეთ ავლაბრის ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობას თხოვნით მიუმართავს ქართულ დრამატიულ საზოგადოებისათვის დახმარება აღმოუჩინოს ყოველ წარმოდგენაზე იმით, რომ მორიგეობით მსახიობნი დაახმარონ ხოლმე, რათა წარმოდგენებმა უფრო ლამაზად და კარგათ ჩაიარონ. საჭიროა დრამატიულმა საზოგადოებამ ამ თხოვნას ყურადღება მიაქციოს და ხელი შეუწყოს სცენის მოყვარეებს წარმოდგენების მართვაში, რაც აუცილებელი საჭიროა დღეს ავლაბრელ საზოგადოებისათვის.

**✦ ხორცზე ნიხრის დაკლების გამო.** თფილისის ყასბებმა 14 ოქტომბერს მოინდომეს გაფიცვის გამოცხადება, მაგრამ ქალაქის ბეითალის წინადადებით გაფიცვას თავი გაანებეს და თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას. 16 ოქტომბერს მოხდება საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება, რომელიც კვლავ გადასინჯავს ნიხრს.

**✦ კრწანისის ხიდი.** თფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას ნამესტნიკის კანცელარიასთან არსებულ ტეხნიკურ კომისიის მიერ განხილული და მოწონებული კრწანისის ხიდის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. საბჭოს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი ხსენებული ხიდის აშენება. ეს საკითხი გადაწყდება ახლო მომავალში.

**✦ თფილისის საბალახნო სკოლის** ზედამხედველათ სამეურნეო საზოგადოების კრებამ აირჩია ქალაქის გამგეობის წევრი ნ. არდუთინსკი.

**✦ წყალში დამხრჩვალნი.** როგორც გვქონდა მოხსენებული, ბათუმში ზღვის ნაპირას იპოვნეს 10 დამხრჩვალი კაცის გვამი. „ბათ. იზვ.“ სიტყვით ესენი ყოფილან ბათუმში მცხოვრებნი ოსმალეთის ქვეშევრდომნი. მათ, რიცხვით 30 კაცს, მოუნდომებიათ ჩუმათ წასვლა ოსმალეთში ფელუკით, მაგრამ ფელუკა ზღვაში გადაბრუნებულა და მგზავრები დაღუპულან. დამხრჩვალებში იცნეს მხოლოდ ოთხი. მათ თან აღმოაჩნდათ 319 მან. 76 კაპ. ფულათ და 1536 მ. 20 კ. ფასიანი ქაღალდები.

**✦ დეზერტირი.** 14 ოქტომბერს პოლიციამ რაყის ქუჩაზე დააპატიმრა 78 ქვეითი სალიანსკი პოლკის სალდათი დ. იანუშკევიჩი, რომელიც მარშან გაიქცა პოლკიდან.

**უპასპორტოები.** 14 ოქტომბერს მე 5 საპ. ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 20 უპასპორტო.

**✦ არჩილ ჯაფარიძის ოჯახობის** სასარგებლოთ მივიღეთ ნოვოროსიიდან ალექსანდრე გაბუნიასაგან—50 კ.

**✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ:** 12 სექტემბერს ქ. ქუთაისიდან დაიკარგა ალექსანდრე გიორგის ძე სვანიძე (იგივე საათაძე). საშუალო ტანისაა, თვალები და წვერ-ულვაშები შავი აქვს, ცხვირზე ნაყვავილარი ეტყობა, ორმოცი წლისაა. სთხოვენ თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ, აცნობონ მაგზაის ქ., სახლი № 47.

## უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**ოსმალეთის მდგომარეობა.** სტამბოლიდან მიღებული ცნობებით დიდ ვეზირს და ფინანსთა მინისტრს ჯავიდს დიდი უთანხმოება მოსვლიათ ქ. სტამბოლის მიერ სესხის აღების თაობაზე. ამის გამო ისედაც ცუდი განწყობილება ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტსა და დიდ ვეზირს შორის კიდევ უფრო გამწვავდა.

**აფიცრების მოთხოვნილება.** საბერძნეთის აფიცერთა კავშირმა ახალი მოთხოვნილება წარუდგინა მთავრობას. აფიცერთა კავშირი მოითხოვს, საბერძნეთის ყველა სახლვარ-გარეთელი ელჩები თანამდებობიდან გადაყენებულ იქნან და მათ ადგილზე სხვები დაინიშნონ. აფიცრები მოითხოვენ აგრეთვე კერძო კაბინეტის უფროსის სტეფანის და გოფმარშალ მერკატის გადაყენება.

**კრიტის ავტონომია.** 10 ოქტომბერს გენერალისიმუსმა მახმუდ შეფკედ-ფაშამ საფრანგეთის ელჩი ინახულა. საუბრის დროს გენერალისიმუსმა განაცხადა, რომ ოსმალეთი არასოდეს არ დათანხმდება კრიტის ავტონომიაზე.

**საბერძნეთის სამხედრო კავშირის მოწოდება.** უცხო სახელმწიფოთა საელჩოებმა აფიცერთა კავშირს გადასცეს, რომ, თუ საბერძნეთის მდგომარეობა კიდევ მეტათ გამწვავდება, მოსალოდნელია უცხო სახელმწიფოების საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევა. ამის გამო სამხედრო კავშირმა მოწოდებანი გამოუშვა, სადაც ნათქვამია, რომ კავშირს არასოდეს მიზნათ პალატის დათხოვა და დიქტატურის გამოცხადება არ ქონია. კავშირი მხოლოდ სამხედრო რეფორმების დაჩქარებით განხორციელებას მოითხოვს. კაბინეტს უფლება არა აქვს სამსახურიდან გავიდეს მიუხედავათ იმისა, თუ როგორი შეხედულების იქნება პალატა სამხედრო კანონ-პროექტების შესახებ. თუ კაბინეტი მაინც თავისას არ დაიშლის, სამხედრო კავშირი იძულებული იქნება ახალი კონსტიტუციონური სამინისტრო შეადგინოს.

**საბერძნეთის მეფე გიორგი.** კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ ერთი ცნობილი არქიტექტორი, რომელიც მეფე გიორგის ძალიან დაახლოვებული მეგობარია, კოპენჰაგენის მიდამოებში $1\frac{1}{2}$ მილიონ ფრანკათ ღირებულ მამულს ყიდულობს. გაზეთების სიტყვით მყიდველი თვითონ მეფე გიორგია, რომელსაც მაჰომედ-ალის ბედი მოელის.

**აფიცრების დამოკიდებულება პარტიასთან.** მახმუდ-შეფკეთ-ფაშამ ოსმალეთის აფიცრებს სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ აფიცრებს სასტიკათ ეკრძალებათ რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში მოქმედება; წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სიკვდილით დაისჯებიან. აფიცრებმა, რომელნიც სამხედრო სასამართლოს წევრებათ ითვლებიან, გენერალი სიმუსის წინადადების შესრულება შეუძლებლათ სცნეს და სამსახურიდან გასვლის ქაღალდი შეიტანეს.

**სომხების მდგომარეობა.** ქალაქ მაკაზდერეში მცხოვრები სომხები ძალიან აღელვებული არიან გუბერნატორ იფატულა-ბეის მოქმედებით. გუბერნატორს ერთი ცნობილი სომხის ცოლი შეუყვარებია. ქმარი დაუტუსაღებია და მისი ცოლი თვითონ წაუყვანია. სომხების

## აღდგომის სიმფონია.

(დასასრული).

მას აქეთ ორი წელიწადი იქნება—დაიწყო მორიბელმა, —რაც ის ამბავი მოხდა, რომელსაც მე ეხლა გიამბობთ. მე მაშინ ვიბასრებოდი იმ ჭრიჭობით, რომელიც ეგრე ადვილათ სწვევია ყველა ყმაწვილ კაცს; მე იმ დროს მთელი ჩემი არსებით განუსაზღვრელათ შეყვარებული ვიყავი. ადვილათ მიხვდები ჩემს მაშინდელ მდგომარეობას; მიყვარდა ერთი ახალგაზრდა ქალი ჩვენი დასისა; მიყვარდა გულ-მხურვალეთ, გულწრფელათ, ისე, როგორც შეუძლიან შეიყვაროს თავდავიწყებით ოციოდე წლის ახალგაზრდა ყმაწვილმა კაცმა; ერთი სიტყვით, მე ახალს ვერაფერს გეტყვი ჩემი სიყვარულის შესახებ. მეც ისე ვაძლევდი დავიწყებას თავს, ჩავდიოდი სხვადასხვა სისულელეს, როგორც ერთი და ორი სხვა, მაგრამ ამ ჩემს რომანს თურმე პროზაიკული ბოლო მოსდევდა. შენ წარმოიდგინე, იმას, ვისაც მე თაყვანსა ვცემდი, ვისაც ვაღმერთებდი, ვისზედაც ვლოცულობდი, ბოლოს ისეთი ვინმე გამოდგა, რომ ყოველივე იმედი დამიკარგა, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო.

მე მისთვის ვკვდებოდი, თვალ წინ სულ ის მელანდებოდა და ის კი თურმე სულ სხვას ფიქრობდა. ერთ მშვენიერს საღამოს ის ვილაცას გაყოლოდა სავაჭრო ქალაქის განაპირა სასტუმროში. ხომ წარმოიდგენ რაც მომდებოდა!... გავე ანე მაშინვე, მივედი სასტუმროში, შევამტვრიე კარები, შევვარდი ოთახში და ერსაც და მეორესაც შეურაცხყოფა მივაყენე, ერთის სიტყვით, მოხდა იმისთანა სისულელე, რომლის მოგონება, რომ გამოგიტყდე, ეხლაც კი მაწითლებს ხოლმე.

დავბრუნდი თუ არა შინ, დავჯექ, დავწერე წერილი ჯერ ჩემ სიტურფის ღმერთთან, ვუსურვე სამუდამოთ მშვიდობა; მივწერე აგრეთვე წერილი ჩემს ანტრეპრენიორს, ვაკადრე ყოველივე უკადრისი და გამოუცხადე სამსახურზედაც უარი; მოვრჩი თუ არა ამ საქმეს, შევკარ ბარგი, დავჯექ ეტლზე და წავედი რკინის გზის სადგურისაკენ. არ ვიცოდი სად მივდიოდი და რა მხარეს იყო ჩემი გზა-კვალი; იმას კი ვგრძნობდი, რომ მე იმ ქალაქში ყოფნა აღარ მინდოდა, სადაც სალოცავი სატრფო იმყოფებოდა; გავიდა ორი დღე—მივდივარ მესამე კლასის ვაგონით.

ვაგონში ბევრი ხალხი იყო: ვაჭრები, დურგლები და რამდენიმე მლოცველი კაცი და ქალი, რომელნიც მონასტერში მიემგზავრებოდნენ. აი, აქამდისაც ვერ დამივიწყნია ის შემაძრწუნებელი დაუტანელი გრძნობა, რაც მე მახვევდა თავბრუს ამ ჩემთვის უცხო ხალხთა შორის; ეხლაც რომ წარმოვიდგენ იმ ჩემს ობლობას, ვკანკალდები ხოლმე; იმ წუთს ყველაფერი მძაგდა: ეს ხალხი, ჩემი თავი... აღგზნებული გონება მიხატავდა რაღაც შესაზარ სურათებს და თავში ერთი აზრი ტრიალებდა, „დავკარგე, დავკარგე იგი სამუდამოთ“!

ამ უკანასკნელ სიტყვებთან ჩემი მეგობარი წამოვარდა შეშინებულივით და იტაცა თავზედ ხელი; ორი-სამი წამი ამ მდგომარეობაში იყო... ძლივს მოიბრუნა სული... გაიღომოსვია ხელი და განაგრძო: ღმერთო ჩემო, ვინ არ დატანჯულა, ვის არ გადუტანია თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც ის, რაც მე გამოვცადე? ამის შემდეგ, მაშ აქვს ვისმე ნება სასაცილოთ აიგდოს ის წამები, რომლის სიმწარეს და შეურაცხყოფას თითქმის სიგიჟემდისაც მიუყვანიხარ?

ჩემი ამხანაგის ლაპარაკმა მე ისე დამაინტერესა, რომ თითქმის მიუხვდებოდი კიდეც ხოლმე აზრს; იმ საათს მორიბელს მდგომარეობა ძალიან კარგათ წარმომედგინა.

—ასე ჩემო მეგობარო! მთელი ორი დღე და ღამე მიმაქროლებდა მატარებელი; აი, დაღამდა! ჩვენ მაინც მივდიოდით და მივდიოდით; ვაგონებში აინთო ჭრაქები, დადგა აღდგომის ღამეც, არა მგონია, რომ მგზავრისთვის სასიამოვნო იყოს ვაგონში ამ ღამის გატარება! მატარებლის ხმაურობაში როგორც იყო მოლოდინს მიმძინებოდა ერთი თუ ორი საათი. გამეღვიძა! თავს უფრო მძიმეთ ვგრძნობდი, ახლა უფრო ნათლათ წარმომიდგა ჩემი უიმედო მდგომარეობა: გრძნობა სიყვარულისა, გრძნობა შეურაცხყოფისა, შეგინებული გრძნობა სიყმაწვილისა, რომელსაც უფლება ქონდა რომ ესეც შეეყვარებინათ, აუტანელ ტკივილებს ვგრძნობდი. შემდეგში ჩემი ცხოვრება მე შეუძლებელი-ღა მიმაჩნდა; არ წარმომედგინა, რომ სიცოცხლეს ჩალის ფასი-ღა ექნებოდა უიმისოთ. მე მიყვარდა ის ისე, როგორც შეიძლება კაცმა შეიყვაროს სიცოცხლეში ერთხელ ჩემს პირდაპირ იჯდა რკინის გზის ორი მოხელე, რომელნიც ერთი-მეორეს დაწვრილებით უამბობდა იმას, თუ როგორ გასრისა მატარებელმა კონდუქტორი და, რა ტანჯვა-ვაებით მისცა მის სახლობას შემწეობა, ანუ რამდენი მოკვდი და გაათავე ტანჯვა! გამიელვა თავში... ფუჭია სიცოცხლე..., რაღა დამრჩენია!...

ამ აზრმა კარგი ნიადაგი იპოვა ჩემს გულში! ისე მალე იხარა და ფესვიც გაიდგა, რომ რამდენიმე წამის შემდეგ მთლად ჩემი არსება შეიპყრო, თითქოს რაღაც მომეშვა გულზე, თითქოს დავმშვიდდი—გზავალი ვიპოვნე, ვიპოვნე საშუალება შესაზარი და მასთანავე ნამდვილიც,—თავი მომეკლა; მინდოდა სიკვდილი ჩუმი, რომ არავის შეემჩნია და არ შევეწუხებინე...

აი, კიდევ მოვიფიქრე: აი, ადექ, გადი კარში, ჩავარდი მატარებელ ქვეშ... და გათავდა!...

გადავწყვიტე! ...ეს ასე უნდა მომხდარიყო. მე ჩემს თავს ანგარიშს ვაძლევდი! თითქოს მეჩვენა, რომ ყურადღება მომაქციეს, თითქოს შემატყვეს განზრახულებაც!... მაგრამ ფიქრი არ არის! ამათ რა საქმე აქვთ ჩემთან, ჩემს ტანჯვასთან... შორს, ვაგონის კუთხეში ორ მლოცველს ხალხი შემოხვეოდა და რაღაცას კითხულობდნენ; რას კითხულობდნენ მე ხმაურობისაგან ვერა გავიგონე. თუმცა შუაღამე მოტანებული იყო, მაგრამ ვაგონებში არავის ეძინა. ფიქრმა გამიტაცა!.. მივიხედ-მოვიხედე ცოტა, კიდევ ფრთხილად და გაველ ფეხ-აკრეფით კარში...

მშვენიერი აპრილის ღამე იყო. წყნარი და მშვიდი, გაბრწყინვებული მოკაშკაშე ვარსკვლავები ერთმანეთს თითქოს ეჯიბრებოდნენ სილამაზით; დაჰფრენ გაზაფხულის გრილი სიოც; ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ჰაერის სივრცეში ნაპერწკლები მიჰქროდნენ; ორთქლმავალიც ქშენით მიმაქანებდა სადღაც დაუსაბამოსკენ, მაგრამ „ბედის სახლვარი“ არ სჩანდა. ამ მდგომარეობამ შემაძრწუნა, ამაკანკალა... ჩქარა გათავდეს და მოვლის ბოლო ამ მდგომარეობას, ჩქარა! ისეა... რასაც ვეძებდი... არავინ მხედავს, ერთი წამიც და ჩავეშვები, აი, ამ შესაზარ, შემაძრწუნებელ თვლების ქვეშ რომელნიც რითმიულ, ჩემს გასაგებარ ჰანგს შემომძახიან: „ეგრე, ეგრე, ეგრე“... დიახ! ეგრე, სწორედ ეგრე! გავიმეორე

(3—1)

გუბერნატორის სასახლეს გარს შემოერტყენ და გუბერნატორის და მისი საყვარლის სიკვდილს მოითხოვენ.

**აბდულ-ჰამიდის სულიერი ავადმყოფობა.** გაზეთები იტყობინებიან, რომ აბდულ-ჰამიდი სულიერი და ფიზიკური ავადმყოფობის ნიშნებს იძლევა. ის გაჰირვებით ღებულობს თურმე საჭმელს.

**რუსეთი.**

**მოსკოვ-ვინდავის რკინის გზის გაფიცვის საქმე.** სამოსამართლო პალატის სესიამ რეევში გაარჩია საქმე მოსკოვ-ვინდავის რკინის გზის გაფიცვის შესახებ. პასუხის გებაში მიცემული იყვნენ: რკინის გზის უფროსი ვიშნევსკი, ინჟენერები სობკო და ფირსანოვი და ექიმი ფილადოვი. განაჩენის გამოტანის დღეს სასამართლოს დარბაზი და მახლობელი ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. სასამართლომ ვიშნევსკის ერთი წლის ციხე მიუსაჯა, დანარჩენი ბრალდებულები კი ყველა გაამართლა. ბრალდებულებს ხალხი ქუდ მოხდილი მიესალმა სასამართლოდან გამოსვლის დროს.

**გიმნაზიელი ქალის გაუპატიურება.** ქერჩის გრადონაჩალნიკს გიმნაზიის მეხუთე კლასის ყოფილმა მოწაფე ქალმა აპოსტოლენკომ თხოვნა მისცა. აპოსტოლენკო ამას წინათ პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით სასწავლებლიდან დაითხოვეს, როგორც ცუდი ზნეობის მოწაფე. აპოსტოლენკო გრადონაჩალნიკს სთხოვს სასამართლოს წესით პასუხის გებაში მისცეს ბოქაულები კამინსკი და ელერტი და ადგილობრივი ვაჟთა გიმნაზიის ზედამხედველი არტემოვი, რომლებსაც აპოსტოლენკო ძალდატანებით გაუპატიურებიათ.

**გენ. ტოლმაჩევის საჩივარი.** სენატმა მიიღო ოდესის გრადონაჩალნიკის ტოლმაჩევის საჩივარი ბროდსკის არჩევნების გამო. ეს საჩივარი განხილულ იქნება სენატის ერთ მახლობელ სხდომაზე. ეს პირველი მაგალითია, როდესაც სენატი სხვისი ინიციატივით განიხილავს არჩევნების სამართლიანობას.

**განათლებული ქურდი.** ამას წინათ პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ განიხილა ჩვეულებრივი დანაშაულობა არაჩვეულებრივი ქურდისა. ქურდი ვასილიევი 38 წლისაა. ის აღზრდილია განათლებულ ოჯახში და თვითონაც განვითარებული კაცის შთაბეჭდილებას ახდენს. ვასილიევი თავისუფლად ლაპარაკობს ხუთ უცხო ენაზე. ვასილიევმა სასამართლოში განაცხადა: ქურდობა მოვიხდენია ხუთ კონტინენტზე და ორ ოკეანეზე-ო. ის რამდენჯერმე ყოფილა სხვადასხვა ციხეებში დატუსაღებული, მაგრამ თავისი მოხერხებულობით ის ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდა პოლიციას.

**კანონ-პროექტი სარწმუნოების შესახებ.** 8 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანვე წაიღო სარწმუნოებრივ საკითხების შესახებ 1907 წ. 20 თებერვალს დუმაში შეტანილი კანონპროექტები.


# აგენტების და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზეთმა „მომავალმა“ შესწყვიტა კავშირი ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „სორაპანთან“, რომლის წარმომადგენელია ბ-ნი მ. გაჩეჩილაძე და აგენტურა უკვე გადასცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სააგენტოს იაკოვლევისას, რომლის რწმუნებულია **ვ. ა. რუკოვიჩი.**

ვისაც სურს ჩვენი გაზეთის აგენტობა პროვინციებში, უნდა მიმართოს მას შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Боржомская 5, кв. 1. В. А. Руковичу.

„მომავალი“-ს საკუთარმა აგენტებმა გაზეთი მოიკითხონ რკინის გზის შკაფების აგენტებთან.

„მომავალი“-ს რედაქცია.


**ოქტომბრისტები და დუმბაძე.** ახლო მომავალში შესდგება ოქტომბრისტთა ფრაქციის სხდომა, რომელზედაც განიხილავენ გენერალ დუმბაძის უკანასკნელ გამოსვლას. ოქტომბრისტებს აზრათ აქვთ ისეთი რეზოლიუცია გამოიტანონ, რომლითაც ადმინისტრაციის და სამხედრო-სამსახურის პირთ სასტიკათ ეკრძალებოდეთ მთავრობის პრესტიჟის დამცემი მოქმედების ჩადენა. ამასთანავე ოქტომბრისტები მოითხოვენ დუმბაძის თანამდებობიდან გადაყენებას. თუ სტოლიპინმა ოქტომბრისტების რეზოლიუციას ყურადღება არ მიაქცია, იმ შემთხვევაში ოქტომბრისტები დუმაში აპირობენ შეკითხვის შეტანას, რომ დუმბაძე ადგილიდან გადაყენონ.

**ს. დ—ების გასამართლება.** მოსკოვის სამოსამართლოს პალატის სესიამ რეევში გაარჩია ს. დ. ჯგუფის საქმე. პასუხის გებაში მიცემული იყვნენ: სამი ძმა კომარები (სტუდენტები), სტუდენტი სოკოლოვი და რკინის გზის ორი მოსამსახურე კრივოშეინი და ტოროპჩენოვი. მათ ბრალი ედებოდათ ცენ. კომ. სტამბის შენახვაში. სასამართლომ ევგ. კომაროვს გადაუწყვიტა საუკუნო გადასახლება, ვალერიან კომაროვს—ერთი წლის ციხე, სოკოლოვს და კრივოშეინს 2 წლის ციხე; ალექსანდრე კომაროვი და ტოროპჩენოვი სასამართლომ გაამართლა.

**მასალა „რუს. კავშირის“ მოქმედების შესახებ.** მინისტრ შჩეგლოვიტოვის განკარგულებით იუსტიციის სამინისტროში შეკრიბეს მასალა ჭეშმ. რუს. კავშირის მოქმედების შესახებ. აქ თავმოყრილია საქმეები იოლლოსის მოკვლის შესახებ, გრაფ ვიტეს მოკვლის განზრახვის შესახებ, გერცენშტეინის მკვლელობის საქმე და სხვა...

მთელი მასალა ოც ფურცლიან ტომს შეიცავს. ეს მასალა დამზადებულია დუმის შეკითხვისათვის.

**პ. ბულაცელის საქმე.** კიევენების სასამართლოს მახლობელ სხდომაზე გაირჩევა ბულაცელის საქმე. ბულაცელს ბრალი ედება ფინლიანდიის მოსამართლეების სიტყვიერ შეურაცხყოფაში და სხვა უკანონო მოქმედებაში. სასამართლო ბრალდებულის გამოუცხადებლათ გაარჩევს საქმეს და თავის განაჩენს პეტერ. ნაფიც ვექილთა საბჭოს აცნობებს.

**დეპუტატი და ამრჩევლები.** პეტერბურგში დაბრუნებულა ბალტიის მხრის დეპუტატი პრედკალნი. ადმინისტრაციას დეპუტატისთვის არაფრის გულისათვის ნება არ დაურთავს ამრჩევლებისათვის მე-3 დუმის მოქმედების შესახებ მოხსენება წაეკითხა. დეპუტატისთვის ნება არ მიუციათ უფრო ვიწრო თემაზე მაინც წაეკითხა მოხსენება (მუშათა კითხვა სახელმწიფო დუმაში). სამაგიეროთ, ადმინისტრაციას ნება დაურთავს დეპუტატისთვის ხოლერასთან ბრძოლის შესახებ ლექცია წაეკითხა.

**საზღვარ-გარეთ.**

**ისპანიის ახალი კაბინეტის პროგრამა.** მორეტის კაბინეტი მიზნათ ისახავს აღადგინოს კონსტიტუციონური გარანტიები კატალონიაში, მოსპოს დეპეშების ცენზურა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დეპეშები ჯარის გადაყვან-გადმოყვანას ეხება, გამოაცხადოს ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთ, ნათელი მოფინოს ფერერის პროცესს, დაიჭიროს მაროკოს კომპანია და გამოიწვიოს გენერალი მარინი. მის ადგილას გაიგზავნება გენ. ვეილერი.

კაბინეტის პირველი ნაბიჯი იქნება ბარცელონაში ლიბერალი გუბერნატორის გაგზავნა.

**სოც. დემ—ბის გამარჯვება არჩევნებზე.** საქსონიის ლანდტაგის არჩევნებზე მთავრობა სასტიკათ დამარცხდა. გაბატონებულ კონსერვატიულ პარტიას ნიადაგი სრულიად გამოეცალა, ლიბერალებიც ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ. გამარჯვება სოციალ-დემოკრატებს დარჩა. ასეთივე შედეგები მოიტანა არჩევნებმა ბადენშიაც.

არჩევნების შედეგი ნათლათ მოწმობს მასსის მარცხნივ გადაქანებას, რაც შედეგია მთავრობას რეაქციონური პოლიტიკის: არჩევნებმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობის წრეებში.

**ისპანიის საქონლის ბოიკოტი.** მარსელის პორტის მუშებმა დაადგინეს შესწყვიტონ ისპანიის საქონლის ბოიკოტი. ამასთანავე მუშათა კავშირმა განაცხადა, რომ ბოიკოტი მაშინვე განახლდება, როგორც ისპანიის მთავრობა მანჟუჩის ციხის რომელიმე პოლიტიკურ ტუსაღს სიკვდილით დასჯის.

**პოლიტიკურ დამნაშავის გაცემა.** „ფორვერტსი“ იტყობინება, რომ ოთხ ოქტომბერს ბერლინის პოლიციამ რუსეთის მთავრობას გადასცა რუსეთის ქვეშევრდომი მირსკი.

**ინციდენტი ბანკეტზე.** ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ სინაიაში გენერალ კაულბარსის პატივსაცემლათ აფიცრებმა ბანკეტი გამართეს. როდესაც გენ. კაულბარსმა სამადლობელი სიტყვა გაათავა, მასთან მივიდა უცნობი ახალგაზრდა და აღელვებული ხმით უთხრა: „ეს შეუწყნარებელია! ჩვენ თქვენთან ერთათ ბანკეტზე ვესწრებით იმ დროს, როდესაც ისპანიაში უდანაშაულო ადამიანს ხვრეტენ. აქ საპროტესტო მიტინგს უფრო მეტი ადგილი უნდა ჰქონდეს, ვინემ ბანკეტს.“ ახალგაზრდა იქვე დაატუსაღეს. მან თავის თავს ინჟინერი პედელი უწოდა.

**კატალონიის ავტონომია.** მადრიდიდან იტყობინებიან, რომ კატალონიის სენატორებმა და დეპუტატებმა მანიფესტი გამოაქვეყნეს. მანიფესტში ისინი კატალონიისათვის ავტონომიას მოითხოვენ. მანიფესტის ავტორები აგრეთვე აუცილებელ საჭიროებათ სთვლიან, რომ სამხედრო მთავრობა დაექვემდებაროს სამოქალაქო მთავრობას. სამხედრო სასამართლოს წესდება ისე უნდა შეიცვალოს, რომ ყველა საქმეები, გარდა სამხედრო პირთა საქმეებისა, სამოქალაქო სასამართლოში ირჩეოდეს.

**რუსეთის აგენტები იტალიაში.** ბერლინის გაზეთებს რომიდან ატყობინებენ, რომ ტურინში და მის მიდამოებში ბევრი საეჭვო პირები დაატუსაღეს. დაატუსაღეს აგრეთვე სამი რუსი, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ისინი რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტები აღმოჩნდნენ.

**ისპანიის მდგომარეობა.** „ბერლინ. ტაგებ.“-ში დასტამბულია ერთი წერილი, რომელშიაც ავტორი შემდეგს მოგვითხრობს: „1 ოქტომბერს მეფე თეატრში მივიდა. ხალხი სტვენით შეხვდა და იძულებული შეიქნა უკანვე გაბრუნებულიყო. მინისტრების სასახლეებს ჯარი იცავს, ვინაიდან 13 ოქტომბერს მაურას სახლის დაწვა სცადეს რევოლიუციონერებმა. პოლიცია ყოველ დღე აუარებელ ხალხს ატუსაღებს. უცხო ქვეყნის გაზეთებს საზღვარზე არ უშვებენ.

## ვინ სტყუის?
### (წერილი ოდესიდან).

ჩვენი ახალგაზრდობის და კერძოთ სტუდენტების დაქვეითება-გათახსირება ყველას პირზე აკერია. ეს არც თუ ძლიერ გასაკვირველია, რადგანაც ყოველი ადამიანი იმედით შესცქერის მომავალ თაობას, მისაგან ელის დაწყებული საქმეების დაგვირგვინებას, ღრმათ სწამს, რომ მამა შვილს უნდა სჯობდეს ყველაფერში. მაგრამ, როცა ხედავს, როგორ სტყუვდება, როგორ უქარწყლდება იმედები, იგი სწუხს, ეძებს მიზეზებს ამ სავალალო მოვლენისას. ამასვე ვხედავთ, როდესაც ლაპარაკია ჩვენ სტუდენტებზე. განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს იმ მოვლენას, რომ ჩვენი სტუდენტობა ინდიფერენტიზმს შეუპყრია, როგორ, იგი მეტათ საეჭვო მოქმედებას ადგია, რომელიც ხშირათ პროვოკაციასაც წააგავს ხოლმე, რომ იგი გადაგვარების გზაზე ადგია და ველარ გაურჩევია მტერ მოყვარე, ხშირათ მტრის ბანაკში იკალათებს... და სხვადასხვა. მაგალითისთვის შორს არ წავალთ! თვალ წინ გვეშლება ანდრია ბესარიონის ძის დგებუაძის *), საქმე და ამით გამოწვეული კამათი ოდესის სტუდენტებს შორის.

რა მოხდა? რაშია საქმე?

აქ ჩვენ აღარ გამოვეკიდებით ამ საქმის წვრილმანებს და პროფესორთა სასამართლოს განაჩენს, რადგანაც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან საქმის ანგარიში *). აღვნიშნავთ მხოლოდ იმ მომენტს, რომელნიც ნათელს მოჰფენენ იმ კითხვას, თუ ვინ არის მტყუანი ამ საქმეში?... ჩვენ გვსურს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება სტ. გ. ბელქანიას წერილებს („დროება“ № 140 და „ივერია“ № 37), რომლებშიაც იგი თითქმის უდანაშაულოთა სცნობს ან. დგებუაძეს და მოუფიქრებლობას, მიდგომას სწამებს და უკიჟინებს ოდესის ქართველ სტუდენტებს. ჩვენ ვეცდებით შეძლების დაგვარათ გამოვარკვიოთ, თუ ვინ სტყუის ამ საქმეში,—გ. ბელქანია, თუ ოდესის სტუდენტები? ვინ ამახინჯებს ფაქტებს განზრახ,—ოდესის ქართვ. სტუდენტობა თუ ბ. ბელქანია თავისი წერილებით, რომელნიც „დროებაში ბ. შინაურის და შემდეგ გ. გაბუნიას წერილებს გამოუწვევია.

ბ. ბელქანიას სწყინს, რატომ ეძახიან მას დგებუაძის ვექილს, მაშინ, როდესაც იგი სრულიად არ ვექილობს, არამედ აქიმობს და დახმარების ხელს უწვდის თავის „ავადმყოფ თანამემამულეს“ (ეს ჩვენ სრულიადაც არ ვიცოდით!). ვნახოთ, დავაკვირდეთ საქმეს და ჩვენთვის ცხადი იქნება, ღირსია თუ არა ბელქანია ამ სახლისა!

ბ. ბელქანია თავის პირველ წერილში (იხ. „დროების“ № 140) სწერდა: „ან. დგებუაძე რაღაცა შეცდომით ჩაეწერა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრათ 1909 წლის იანვარშიო.“ როგორი იყო ეს „შეცდომა“, ამას ეხლავე დავინახავთ.

როდესაც აქ ქართვ. სტუდენტ. სახელით ფურცელი გამოვიდა, რომელშიაც ანდ. დგებუაძე პროვოკატორათ, „კავშირის“ წევრათ და მის აგიტატორათ იყო გამოცხადებული, დგებუაძე მ. კ—სთან ერთათ—იმ მ. კ—ძესთან, რომელსაც ბ. ბელქანია თავის წერილში იმოწმებს—დგებუაძე მეთქი, ფერგადაკრული, გააფთრებული მივიდა გ. გაბუნიასთან, რომელთანაც იმ დროს არ. ჯ—შვილიც იყო და ხმა-მაღლა უთხრა: „სამუდამოთ თავი მომეჭრა, მაგ უსამართლო ფურცლით; სიცრუეზე აგებული სასჯელი მეტათ მძიმე არის ჩემთვისო“ და სხვ... „კბილით დავგლეჯო ჩემი ცოლ-შვილი, თუ იმ ფურცელში იტყის ოდენა მართალი იყოსო!“ მ. კ—ძე დაიმოწმა. უკანასკნელმა განაცხადა—ტყუილი არისო, თითქო დგებუაძე ან პროვოკატორი, ან აგენტი იყოსო. „კავშირის“ წევრი კი ვარო?“—შეეკითხა დგებუაძე. „რა ვიცი, შენს სულში ხომ არა ვზივარო“—იყო პასუხი მ. კ—ძისა. დგებუაძე გასამართლებას ითხოვდა. მხოლოდ სამი დღის შემდეგ, და არა 4—5 საათის განმავლობაში აცნობა გაბუნიამ ქართვ. სტუდენტ. აზრი დგებუაძეს. წინადადება მისცეს გაზეთის საშუალებით უარეყო, რომ იგი „კავშირის წევრი იყო და ამას შემდეგ ამხანაგები ვალდებულათ ჩათვლიდნენ თავს სამართალში გაყოლიყვნენ მას. დგებუაძემ არ უარყო „კავშირის“ წევრობა გაზეთში და პროფესორთა სასამართლოს მიმართა. მისთვის ეს იყო „საუკეთესო საშუალება ჩირქის ჩამოსარეცხათ“ (лучшій путь реабилитаціи), როგორც თვითონვე განაცხადა ეს გაბუნიასთან, მაგრამ ამავე დროს ქართვ. სტუდენტობასაც გაუღრმავა ამით ეჭვი. სასამართლოში თავმჯდომარის შეკითხვაზე, მან დიდის ყოყმანის შემდეგ განაცხადა: „დიახ, მე „კავშირის“ წევრი ვარ 1908 წლიდან და ამით აღიარა ის, რაც ფურცელში იყო გამოცხადებული.

განა ამის შემდეგ კიდევ შეიძლება ითქვას, თითქო დგებუაძე „შეცდომით“ ჩაეწერა „კავშირის“ წევრათ? განა ასეთი აწონილ-დაწონილი მოქმედება, როდესაც ადამიანი მოწმეებთან უარჰყოფს „კავშირის“ წევრობას, როდესაც ველარ განუცხადებიან შემდეგ საჯაროთ სიცრუე ამგვარი ბრალდებისა, როდესაც ვიღაცის ან რაღაცის ეშინია—განა ასეთი ორჭოფი თამაში შეცდომით შეიძლება იყოს გამოწვეული? სტყუის ბ. ბელქანია, როდესაც ბრძანებს: დგებუაძე შეცდომის მსხვერპლიაო! სტყუის ბ. ბელქანია, როდესაც ამბობს, დგებუაძე 1909 წლის იანვრიდან ჩაეწერაო „კავშირში“!.. განა ვექილობა არ არის, უაზრო, საცინელი ვექილობა, ასეთი უსინდისო დამახინჯება ფაქტებისა?!. დიახ, ბ. ბელქანია ვექილიც არის დგებუაძის!

„ვაი, სირცხვილო! სადღა არის შენი სიწითლე“?!.

შეცდომით კი არა, არამედ უბრალო ანგარიშით, პირადი საქმით იყო გამოწვეული დგებუაძის „კავშირში“ ჩაწერა. საიდან მტკიცდება ესა?—ამას ეხლავე დავინახავთ.

*) ვუსრულებთ თხოვნას პატივცემულ ანდრია იულიანის ძე დგებუაძეს და მისი სეხნიის მამის სახელსაც სრულათ ვწერთ. უვ.

*) იხ. გაზეთის აპრილის და მაისის №№.

მეც; ჩავეშვები და ყველაფერი გათავდა, შესწყდა სამუდამოთ მაჯის ცემა... როგორც ქურდი, უკანასკნელათ კიდევ მივიხედ-მოვიხედე და მოვემზადე... ერთი წამიც და... უკანასკნელად ხარბათ ვეზიარე გაზაფხულის გრილის ჰაერით, ცივი გონება ცხადათ უხატავდა თვალ-წინ სიკვდილს...

უცბათ საიდგანღაც მკაფიოდ შემომესმა გალობა... თითქოს რაღამაც მტაცა ხელი... ეხ! მხოლოდ ერთი წამი, ერთი თვალის დახამხამება იყო... შევსდექ! თითქოს ჩემი გადაწყვეტილება უცბათ სადღაც გაჰქრა, დაუგდე ყური და მართლაც შემომესმა გალობა; თვლების თქარა-თქურში და რიხინში მკაფიოდ შემომესმა დიდის ხნის დავიწყებული სიტყვები: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“... ღმერთო ჩემო, გამიელვა თავში, ამაღამ ხომ პასექის ღამეა!.. უცბათ სიხარულისა და ცხოველ-მყოფელი იმედის სხივმა ჩააშუქა ჩემს გულში! თავისუფლად ამოვისუნთქე; ამ წყვდიადში ნათლად წარმომიდგა ბრწყინვალედ განვლილი გზა და სახე იმისი, ვინც კაცობრიობის ტანჯვა იდვა თავს და სულით ერთს წამსაც კი არ დაცემულა! მაშ, მე ძლათ უვარდები სიკვდილს ფეხ-ქვეშ!

არა და არა! ჰელერდა იმედი ნათელით მოფენილს გულში; სიკვდილი უნდა იძლიოს! აი რას გვეუბნება ქრისტიანებს პასექი... მეც, აღვსდგები მკვდრეთით, მოვბრუნდი, გადავსდგი ფეხი, შევაღე კარი ვაგონისა, შევარდი და გავჩერდი, მაგრამ... რა სანახაობა წარმომიდგა!

ამ დროს ჩვენი ჭუჭყიანი ვაგონი არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა: ყველა—გლეხი, ვაჭარი, დურგალი და მოხელენი—პასექს უხვდებოდა; ყველა ამ ხალხს პირზე სიამის ღიმილი უქროდა და მწყობრათ, როგორც ერთი კაცი, საამოდ „ქრისტე აღსდგას“ გალობდენ, ჩემს ყურს თითქოს ამისთანა საამო და მწყობრი ჯერ არა გაეგონა რა! ვიღაცას, ვაგონის შუა მაცხოვრის ხატი დაესვენებინა, ერთ-ერთ მლოცველს მის წინ ყვითელ სანთლის ნამწვავი ეჭირა, ესეც თითქოს არა ჩვეულებრივათ ანათებდა. ყველა გულმხურვალედ ლოცულობდა; ვგრძნობდი, ამ წმინდა ღამეს რაღაც შესანიშნავი მოვლენა ხდებოდა. ზემო საწოლიდან ორი თათარი დაჰყურებდენ ამ მლოცველ ხალხს და განცვიფრებით უსმენდენ მათთვის გაუგებარ სიტყვებს: „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. ამ ლოცვამ, ამ არაჩვეულებრივმა დახვედრამ პასექისა ჩემს გულში უცბათ მოსპო ის ეგოისტური და დამამცირებელი გრძნობა, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინ სასიკვდილოთ უფსკრულში მჩეხავდა; სიკვდილი დაძლეული იყო. ამ სურათის მნახველმა წავდგი ნაბიჯი ჩემი საწოლისკენ, დავეც პირქვე და დიდხანს, დიდხანს ვაფრქვიე საამო ცრემლები,—ცრემლი განკურნებისა“. . . . . . . . .

აქ ჩემი მეგობარი შესდგა. მე ვგრძნობდი, რომ იგი ამ მოგონებამ ძალიან აღელვა.

აი დასაწყისი ჩემი სიმფონიისა, განაგრძო მან, ამ სიმფონიით მინდოდა გამომეხატა, მინდოდა მეთქვა, რომ ჩვენი სულის ავათმყოფობას ისე არა განკურნებს რა, როგორც ცხოველ-მყოფელი მაგალითი ქრისტესი, რომელმაც „თავს იდვა ცოდვა ქვეყნისა და შესწირა თავი თვისი, ვითა ზვარაკი“. ეს იყო იდეა ჩემი თხუზულებისა. მაგრამ, იცი რა გითხრა, როცა მე ის დავსწერე და თითონვე მოვისმინე, ვიგრძენ, რომ იგი უფრო სუბიექტიური რამ ქმნილება იყო, უფრო კი მისთვის ჰქონდა მნიშვნელობა და გასაგებიც, ვინც ამ მდგომარეობაში „პასექის ღამე“ გაატარა ჩემთვის! აი, ჩემო მეგობარო მიზეზი, რომელსაც არავის და შენც არ გიზიარებდი; მხოლოდ ამითი ხელმძღვანელობდი მის დაწერის დროს. აბა, ეხლა კი დავიძინოთ!... დაასრულა ჩემმა მეგობარმა და დაეცა პირქვე ბალიშზე. მე ვიგრძენ, რომ მას ეშინოდა ჩემი, სხვა კითხვა არ მიმეცა, მაგრამ მე ისეც დაკმაყოფილებული ვიყავი მისი ნაამბობით: მისი „აღდგომის სიმფონია“ ჩემთვის ეხლა გასაგები იყო. ჩვენი ოთახის სარკმელში სინათლემაც შემოაშუქა... შორს, შორს ზარის მელოდიური ხმაც მლოცველს ცისკარზე იწვევდა.

ი. კარგარეთელი.

ბ. ბელქანიას ძლიერ უკვირს, რატომ აქცევს აქაური სტუდენტობა ბ. შინაური და გაბუნია მეტათ სერიოზულ ყურადღებას იმ გარემოებას, თუ ვინ არის დებუტანტი: თავისუფალი მსმენელი თუ სტუდენტი; თქვენ, ბ. ბელქანიავ, და თქვენს კლიენტს—დიახ! თქვენს კლიენტს—არ გეპრიანებათ ეს საკითხი, მაგრამ ძაღლის თავი სწორეთ აქაა დამარხული. **უვინჩილა.**

დასასრული იქნება.

# პროვინცია

**სოფ. რუისი** (ქართლი). 1 ოქტომბერს მოხდა აქაურ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წევრთა მეორე კრება. ძველი გამგეობის მაგიერ აირჩიეს ახალი. ახალ გამგეობას ამ თავიდანვე ენერგია და გულშემტკივრობა ემჩნევა სამკითხველოსადმი. 1 ოქტომბრიდან უკვე მოგვდის ხუთი ჟურნალ-გაზეთი: „მომავალი“, „დროება“ „ტიფლისკი ლისტოკი“, „მათრახი და სალამური“ და საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ნახევარ ფასათ დაგვითმო რედაქციებმა ხსენებული ჟურნალ-გაზეთები. საზოგადოება მოხარულია, რომ ცოტათ თუ ბევრათ სამკითხველოს საქმე მოეწყო. ვუსურვებ ახალ გამგეობას, რომ გაორკეცებული ენერგიით მოეკიდოს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. სხვათა შორის სამკითხველოსათვის შეძენილ უნდა იქნას „ჯადო ფარანი (Волшебный фонарь“ სურათების საჩვენებლათ, რისთვისაც შეგროვილია 44 მ. ამათში 34 მ. გრ. ფანიაშვილის ხელშია, 10 მ. კი ვ. დეკანოზოვას (მასწავლებელი ქალია). განზრახულია, აგრეთვე, კოოპერატიული ამხანაგობის დაარსება, მაგრამ ხელისშემშლელი აღმოჩნდა შიგა და შიგ. ამ ვაჟბატონებს უკუღმა გაუგიათ კოოპერატიული ამხანაგობის მნიშვნელობა და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ კი ხელი შეუშალონ და გული აუცრუონ ხალხის მისწრაფებას ასეთ სიმპატიურ დაწესებულებისადმი. **მოიდანახელი.**

—

**აკეთის საზოგადოება** (გურია). ამ ოთხი წლის თვის წინათ აქ საზოგადოურიდობაზე აირჩიეს ახალი მამასახლისი ა. ხუხუნაიშვილი. ახალმა მამასახლისმა ახალი წესები შემოიღო: ბეჭედის ფული ერთი აბაზი მის თანაშემწეების მორიგეობა კანცელარიაზე, გადასახადების ასაკრეფათ, საგანგებოთ სტრაჟნიკების დაბარება და სხვა. ეგ კიდევ არაფერი. სოფელს ახალი ხარჯი დააკისრა. გააწერა საზოგადოებას ყოველივე მისი ნახარჯი, აგრეთვე მისი საჯდომი ცხენის ფასიც. ცხენი კი მას ყავდა ნაყიდი. სოფლის არჩეულ ფულის გამწერ პირებს ძლიერ ეუცხოვათ ეს და უარის თქმაც დააპირეს, მაგრამ მამასახლისმა რიხიანათ შემოუძახა და ჩააჩუმა. სოფელში დიდი მითქმა მოთქმაა ამ ამბის გამო.

— აკეთში ოდესღაც კარგი სამკითხველო არსებობდა, მაგრამ დღეს კი ნაკლებსაც მონატრულნი არიან, დიდი ხნის წინათ საზოგადოებას უთხოვია ბ. ჯამულეთი ბეჟუნაიშვილისთვის, რომ აეღო სამკითხველოს დაარსების ნებართვა. მასაც ბევრი ცდის შემდეგ შეუსრულებია ეს თხოვნა. კიდევაც აუღია ნებართვა. შეიკრიბა რამოდენიმე პირები და მიანდვეს ჯამულეთის, რაფიელ გოგბაძეს და სხვებს სამკითხველოს პატრონობა-გაძღოლა, მარა ჯერ არაფერი სჩანს და როდის ვეღირსებით სამკითხველოს გახსნას, არავინ იცის.

— კოოპერატივის დასამტკიცებლათ გაგზავნილი წესდება ისევ დააბრუნეს სხვა და სხვა ცნობებისათვის, მაგრამ ის დამფუძნებელი წევრნი, რომლებმაც მაშინ ხელი მოაწერეს არც ერთი არ აღმოჩნდა აქ, რის გამო საქმე აგერ სამი თვეა შეჩერებულია და ვინ იცის, რამდენ ხანს იქნება კიდევ ასეთ მდგომარეობაში. **ა. აკეთელი.**

—

**ოზურგეთი.** დაპატიმრება კვლავ გრძელდება. სექტემბრის ბოლო რიცხვებში დააპატიმრეს თვითმმართველობის ხმოსანი სიმონ ჟუჟუნია, 2 ოქტომბერს ოზურგეთში ჩამოიყვანეს და ადგილობრივ საპყრობილეში მოათავსეს მასწ. არსენ წითლიძე. პ-ს ის უკვე გაანთავისუფლეს თავდებობის ქვეშ. დააპატიმრეს და სამი თვის ვადით ციხეში ჩასვეს ადგილობრივ გამომძიებლის თარჯიმანი მანასე თოთიბაძე. ამ უკანასკნელს, როგორც გადმოგვცეს ჯბრალსა სდებენ, თითქოს მას წინათ ჯაუპტვახტიდან გაპარულ პლასტუნებს დამე გაათევინაო.

— თუმცაღა ქალაქის ამბულატორიას პირველ ამა თვიდან უნდა დაეწყო მოქმედება, მარა დღემდე შეჩერებულია, მიზეზათ ამისა ბევრს რამეებს ასახელებენ, სხვათა შორის ამბობენ, თითქოს ნებართვა არ ქონდა ქალაქს (?) ამბულატორიის გახსნისა და სხვ. ამ უკანასკნელის შესახებ ვეცდებით ახლო მომავალში უფრო ვრცლად შევეხოთ საკითხს.

— 6 ოქტომბერს, სადამოს 8 საათზე ოზურგეთში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სლავოჩინსკი. ქალაქის მოედანზე მას მიეგება მოქალაქენი. ქალაქის თავმა ბებურიშვილმა პურ-მარილი მიართვა. პურ-მარილის მიღების შემდეგ გუბერნატორმა უთხრა იქ მყოფთ, თუ ვინმეს, რაიმე საქმე აქვს ჩემთან, შეუძლია ხვალ საათის 11-ზე ადგილობრივ სამაზრო სამმართველოში მოვიდესო. გუბერნატორის ჩამოსვლა, როგორც გადმოგვცეს, გამოუწვევია იმ ინციდენტს, რომელიც ამას წინათ მოხდა ბებურიშვილსა და ბოქაულებს შორის. მეორე დღეს გუბერნატორმა მიიღო მთხოვნელები და ინახულა ადგილობრივი დაწესებულებები.—ამავე დღეს გუბერნატორი ინახულა ბებურიშვილმა. 8-ს გუბერნატორი გაემგზავრა სოფ. ლეხაურში და აქედან კი ხვარბეთში. გუბერნატორმა ოზურგეთში სულ სამი დღე დაჰყო და 9-ს მაზრის უფროსის თანხლებით გაემგზავრა ჩოხატაურის გზით ქუთაისში.—ბებურიშვილის საქმეს, როგორც გადმოგვცეს, განიხილავს საგუბერნიო საკრებულო.

— გურიის 25 საზოგადოების „პრიგოვორები“ მომავალი რეალური გიმნაზიის გახსნის თაობაზე შედგენილი, განურჩევლათ წოდებისა, როგორც ამას წინათ გაზეთებში იყო მოხსენებული, საგუბერნიო საგლეხო საკრებულოს კანონიერათ უცვნია. ხოლო საგადებულო უფილა იმ თავად-აზნაურთათვის, რომლებსაც ხელი უწერია განაჩენებზე. ამ ჟამათ ხსენებული „პრიგოვორი“ შესამოწმებლათ გამოგზავნილი აქვს ადგილობრივ მომრიგებელ შუამავალს ბ. გეგიძეს, რომელიც ამ მოკლე დროში დაამთავრებს შემოწმებას და წარუდგენს უმაღლეს მთავრობას სათანადო სანქციის გასაკეთებლათ.

—

**ახალქალაქის რაიონი.** 13 ენკენისთვეს სოფელ ახალქალაქში მოხდა არჩევა მერაბის. თავადები ერთმანეთს ეცილებიან ამ თანამდებობის ხელში ჩასაგდებათ, რადგანაც იგი არავითარ შრომა-გამოცდილებას არ მოითხოვს. ასეთ ადგილებს კი ისინი ძალიან ეტანებიან ხოლმე. ხალხი ორ ნაწილათ გაიყო: ერთი ნაწილი თავის მხრის თავადს ასახელებდა, მეორე ნაწილი თავისას, ბოლოს ბევრი დავის შემდეგ არჩეულ იქნა ისევ ძველი მერაბი გიგო მაღალაშვილი, მეტეხის მცხოვრები.

წელს დიდი გვალების გამო წყალმა ძლიერ იკლო. ამ ნიადაგზე ბევრ ადაგას სხვადასხვა სოფლებს შორის დამოკიდებულება მეტისმეტათ გამწვავდა და ზოგან არა-სასურველი შედეგიც მოუვა, მაგრამ მერაბი ამაზე თავს არ იცხელებდა. მიუხედავათ ყველა ზემოთ ნათქვამისა, ახლათ არჩეული მერაბის მიმართ მადლობის მეტი არა გვეთქმის რა, რადგან მან სამი წლის განმავლობაში თავის მოღვაწეობისა გლეხებს ჯამაგირი არ გადაახდევინა.

თუმცა აქეთ არავითარი უაჩადობა და ძარცვა-გლეჯა აღარ ხდება, მაგრამ მაინც მოგვივლინეს ეგრეთ წოდებული „მფრინავი რაზმი“ ოცი სტრაჟნიკისაგან შემდგარი, უფროსი მამასახლისის მეთაურობით. წინამძღოლობს მეტეხის ყოფილი მამასახლისი ვეზირიშვილი. ამ რაზმის შესანახათ ხარჯი გლეხკაცობას დააკისრეს. წელს ღვინის მოსავალიც ძალიან ნაკლები იყო. **გ—ი.**

—

**ს. ჭაგანი** (ქუთ. მაზრა). გვაქვს სკოლები, გვაქვს სამკითხველო, მაგრამ ხალხი ისევ სიბნელის მორევში იხრჩობა. ამის მიზეზი აქაურ ინტელიგენტთა უმოქმედობაა. „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო“. აქაური ინტელიგენცია, რომ ცოტა ფხიზლათ იყოს და ხალხის ინტერესებისთვის სასამსახუროთ თავს იწუხებდეს, ბევრი რამეს გაკეთება შეიძლებოდა. არის სამკითხველო, მაგრამ მისი არსებობა ბეწვზე კიდია, ან კი რათ გვინდა თუ ის თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ხალხის ეკონომიურათ წინ წაწევას ძლიერ ხელს შეუწყობდა კოოპერატიული ამხანაგობის დაარსება, მაგრამ არავინ თავს არ იცხელებს.

აქ არსებობს შემნახველ-გამსესხებელი ბანკი, რომელსაც უფლება აქვს გახსნას მომხმარებელი დუქანი, მაგრამ არავინ არაფერს არ ფიქრობს.

ამ 7—8 წლის წინათ სამტრედიის ბოქაულმა ხალხს დაადვა გადასახადი კომლზე ორი აბაზი „სასურსათო კაპიტალის“ (продовольст. кап.) გადასახადი. ამდენი ხნის გადაუხდელ ფულს ეხლა ერთათ ახდევინებენ. ეს-და აკლდა ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას. ფიქრობენ ამის შესახებ მიმართონ დუმის წევრს ევ. გეგეჭკორს იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს. **ან—შვილი.**

# მუშათა შორის

**რესტორანი „ეკონომია“** გადის დრო და ჩვენი ხაზეინებიც თან და თან ახალ ახალ საშუალებებს იგონებენ მუშების ფეხ ქვეშ გასათელათ. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ შეაკვეცეს ფრთები ყოველივე ჩვენ უფლებებს ეხლა ესღა გვაკლდა, რომ სრულიად უმიზეზოდ ქუჩაში გვისტუმრებენ. მაგალითისთვის შორს არ წავალ: რესტორან „ეკონომიას“ ხაზეინებმა ზურაბ უაჩიშვილმა და ნიკო ქურთაულმა წრეს გადააცილეს. ეს ვაჟბატონები ისე გაიტაცა ხაზეინურმა გრძნობამ, რომ სრულიად უმიზეზოთ დაითხოვეს მოსამსახურე სიმონი, რომელიც მეოთხე წელიწადია აქ მსახურებდა და რიგიანათაც ასრულებდა თავის საქმეს. ამ უკანასკნელმა მოსთხოვა გაუძღოდენ სამედიატორო სამართალში და რამდენჯერმე მიუგზავნა კაცი, მაგრამ ვერც ამან გასჭრა ჯიუტ ხაზეინებზე. **სიმართლის მოყვარული.**

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ ამ ჩემ წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

თუმც ჩემ წერილში (მომავალი № 27) ნათლათ გამოვარკვიე რა მიზეზითაც თელავის აგენტები დიდხანს ვერ რჩებიან ამ მოვალეობაში, აგრეთვე სრული ჭეშმარიტებით აღვნიშნე ჩემს და ბ. გაჩეჩილაძის შორის დავის მიზეზი, მაგრამ ბ. გაჩეჩილაძე, როგორც მოსალოდნელი იყო, არ თანხმდება ამას იმიტომ, რომ ხელს არ აძლევს, რადგან მართალი აღარ მოუგვება სწერს ტყუილებს, რომელზედაც ვძლევ პასუხს: 1) გაზეთები თელავში შეხვეული და ზედ დაბეჭდილი „იარლიკით“ არას დროს, რაც აგენტურა არსებობს, არ მოსულა; თავი რომ დავანებოთ თელაველ ჟურნალ-გაზეთების მკითხველ ინტელიგენციას და ნამყოფ აგენტებს, რომელთაც ეს კარგათ იციან, თვით ფაქტი, რომ ბ. გაჩეჩილაძის ცნობა შუა გაზეთებშია ხოლმე მოყოლებული და ზევიდან ყველა გაზეთებს ერთათ აქვს შემოხვეული ქაღალდი—ამტკიცებს იმას, რომ უშუამავლოთ გაჩეჩილაძესი არ იგზავნება გაზეთები. 2) ბ. ე. ავალიშვილი გაჩეჩილაძესთან წიგნების თავდებათ რომ დამიდგა, მაშინ თფილისში გაზეთების აგენტათ ბ. კ. სიმონოვი იყო, რომელთანაც გაზეთების გირაოთ 20 მ. მქონდა დატოვებული, ბ. გაჩეჩილაძეს კი გაზეთებისა მაშინ არა ეკითხებოდა რა. 3) 47 მ. და 30 კ., წიგნები, რომელიც ეკუთვნის გაჩეჩილაძეს და ახლა უარჰყოფს, რადგან ნაღდი ფული ურჩევნია, როგორც კომერსანტს, ნამდვილათ ეკუთვნის მას. სია (ამ წიგნებისა) რომელშიაც არის ჩამოთვლილი ეს წიგნები დაწერილია ბ. გაჩეჩილაძის ხელით, რომელსაც აქამდი ვინახავდი და ეხლა კი გგზავნი სადაც ჯერ არს. ეხლა მკითხველმა უწოდოს სახელი ჩემსასაც და ბ. გაჩეჩილაძის საქციელსაც.

ამასთან ვაცხადებ, რომ ამის შემდეგ ბ. გაჩეჩილაძესთან ვსწობ ყოველივე კამათს გაზეთების საშუალებით და ჩემი სიმართლის აღსადგენათ წინადადებას ვაძლევ (7 დღის განმავლობაში ამ წერილის დაბეჭდვიდან) გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში, რომელიც გამოარკვევს ვინ სტყუის და ვინ არა. მედიატორებათ ვასახელებ გიგო მირიანაშვილს და ილიკო გახვახიშვილს. **კ. ონიკაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


# განცხადება

თფილისის წვრილ-ვაჭართა პროფესიონალური საზოგადოების

## მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსული წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე 23 **ოქტომბერი**—როდესაც საზოგადოების წევრნი—ვაჭარნი **მთელი თავისი ნავაჭრიდან წილს გადასდებენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ.** ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ კეთილ ინებონ და 23 **ოქტომბერს იმ ვაჭრებთან** **ივაჭრონ**, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი. (0—1)

ექიმი
## პ. არდაზიანი
ბავშვების და შინაგანი ავათმყოფ.
კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანსტვოს პირდაპირ. მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.
Уголъ Меликовской и Александровской ул.

კანტორა და სკლადი
## ი. ახოზაძისა
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:
„სპერმატინი“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„ალმეზა“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სატელი 40 კ.
„კლაპოვნი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდისა სესუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„პრიმა“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—3

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ ვლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“
Товарищество крестьянъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ
„Кахетія“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.
10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.
По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.
Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.
უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 0 бут. | — 15 к. | 16 бут. | — 2 р. 10 к. |
| № 1 „ | — 20 к. | 16 „ | — 2 р. 80 к. |
| № 2 „ | — 25 к. | 16 „ | — 3 р. 60 к. |
| № 3 „ | — 35 к. | 16 „ | — 5 р. 10 к. |
| № 4 „ | — 50 к. | 16 „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7.
Михаилу Николаевичу Кодалову.

## მსურველთა საყურადღებოთ

არა ერთხელ და ორჯერ დავუფიქრებივარ ზოგიერთა შეგირდების მდგომარეობას, რომელნიც უდგებიან ხაზეინებს ოთხი ხუთი წლით, რომ შეისწავლონ საპარიკმახერო ხელობა, მაგრამ ხშირათ კი უფრო მოტყუებული რჩებიან, რადგან ხაზეინები ვერ უდებენ გულს, რომ დააკმაყოფილონ მოსწავლეთა სურვილი. ამის გამო დიდი ხანია აღმეძრა სურვილი დავაარსო კერძოთ საპარიკმახერო სასწავლებელი, რომელშიაც მოსწავლენი მთელ კურსში გაივლიან 35 ნაწილს (საგნებს) მოკლე დროთი და ხალმისაწდომ გადასახადით, რათა, გაუმჯობესდეს ჩვენი ხელობა და დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა წყურვილიც.

განმიხორციელდა დიდი ხნის სურვილი და მივიღე ნებართვა დავაარსო სასწავლებელი და განვიზრახე დავიწყო მოქმედება ამა ღვინობისთვის 23 რიცხვიდან თუ მოსწავლეთა რიცხვი ათს აღემატება. მსურველთ შეუძლიან მოითხოვონ პროგრამა, რომელშიაც აღნუსხული იქნება ყველა სამუშაო ნაწილი—35 (საგანი), დრო კურსისა და გადასახადი.

**ადრესი:** მე-9 ნაწილი, არხიპოვსკი ტუპიკი. დ. ი. გაბრუაშვილი, საკუთარ სახლებში.
**დ. ი. გაბრუაშვილი.**
1—1

# პროვოდნიკის
## ამხანაგობა
## რიგაში

18 97

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т-ВА Р.Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА
1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისათვის
თფილისში სოლოლაკის ქუჩა № 4.

### იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიაისა სულ იაფ ფასამდე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ ოფიცრებისათვის.
№ 4 დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ღრუბელი.
№ 2 სავარცხლები რქის რეზინისაგან. (24—6—49).


სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3